



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

31 მაისი 2011 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 66

#### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისთვის საავტომობილო საწვავის გამოყოფის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №49 დადგენილების და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 19 ივლისის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ №2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 117-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩეველთა მიღების, ამომრჩეველებისათვის ანგარიშის წარდგენის და ამომრჩეველებთან შეხვედრების უზრუნველყოფისათვის, საკრებულოს აპარატის უფროსს გამოეყოს ხარჯის სახით 150 ლიტრი საავტომობილო საწვავი (ბენზინი) ყოველთვიურად.
2. ბრძანების შესრულებაზე და საავტომობილო საწვავის მიზნობრივად გამოყენებაზე კონტროლი დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს. (პაატა ბურჭულაძეს)
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღგეო მამეშვილი